დარღვეული ტრადიცია

“დინამო” (თბილისი) – “დინამო” (მოსკოვი) – 1:0 (1:0)

თბილისი. ვ.ი. ლენინის სახელობის “დინამოს” სტადიონი. 22 აპრილი.

თბილისი: გაბელია, კოსტავა, ჩივაძე, ხინჩაგაშვილი, გ. მაჩაიძე, დარასელია, მ. მაჩაიძე, სულაქველიძე, გუცაევი (შენგელია), ყიფიანი, ჩელებაძე (კაკილაშვილი).

მოსკოვი: გონტარი, პაროვი, ნიკულინი, ნოვიკოვი, ბუბნოვი, პეტრუშინი, ლატიში, ტოლსტიხი (კოლესოვი), იაკუბიკი, მაქსიმენკოვი, ვ. გაზაევი.

მსაჯი: კ. ვიხროვი (კიევი).

გაფრთხილებულია ნიკულინი და ლატიში.

მატჩს გათამაშების ლიდერთან გულშემატკივრები დიდი ინტერესით მოელოდნენ, რაზეც სტადიონის ამ სეზონში უჩვეულოდ სავსე ტრიბუნებიც მოწმობდნენ. გუშინდლამდე მეტოქენი იმ მცირერიცხოვან კოლექტივთა შორის იყვნენ, რომლებსაც მიმდინარე ჩემპიონატში ჯერ კიდევ არ ეწვნიათ დამარცხების სიმწარე. ვინ დატოვებდა მინდორს ქულების გარეშე, თუ თანაგუნდელები არც ამჯერად დაარღვევდნენ ბოლო წლების თითო ბურთიანი ფრეების ტრადიციას? საინტერესო და დაძაბულ ბრძოლას ელოდნენ ფეხბურთის მოყვარულნი ამჯერადაც, მაგრამ…

თბილისელებმა პირველივე წუთებიდან შეუტიეს მოსკოველთა კარს (ეს მოსალოდნელი იყო) და პირველივე წუთებიდან მიმართეს ჩვენმა მეტოქეებმა “წესრიგის” პატარპატარა დარღვევებს, შემდეგ კი აშკარა უხეშობის ტაქტიკასაც (ამას კი, გამოგიტყდებით, არავინ ელოდა).

პირველი მწვავე იერიში გუცაევმა წამოიწყო. მისი მახვილგონივრული გადაცემა დარასელიამ მიიღო, რომელმაც ბურთი საჯარიმოში მარცხნიდან შემოსულ სულაქველიძეს (ის იმ დღეს კვლავ ნახევარდაცვაში ვიხილეთ) მიაწოდა. დარტყმა ოდნავ უზუსტო გამოდგა. ზედიზედ ბომბავდნენ სტუმართა კარს ჩელებაძე და დარასელია. საჯარიმოში მყოფ ჩელებაძეს უხეშად გაუმასპინძლდა ნიკულინი და კ. ვიხროვმა გაფრთხილება მისცა მას. მშვენივრად თამაშობდა გუცაევი, რომელიც სწრაფად, ადგილების შეცვლით მიიწევდა გონტარის კარისკენ ან პარტნიორები გაჰყავდა გადამწყვეტი დარტყმებისთვის.

მაქსიმენკოვ–გაზაევის ტანდემი, რომელიც ძირითადად შეტევის მარცხენა ფლანგზე მოქმედებდა და იაკუბიკის, ლატიშის, პეტრუშინის ცალკეული გარღვევები, სტუმრებისთვის სასურველ ამინდს ვერ ჰქმნიდნენ – თბილისელთა დაცვა (ტრავმის შემდეგ ცენტრში ისევ ხინჩაგაშვილი გამოდიოდა) ადვილად უმკავლდებოდა მეტოქეებს.

35–ე წუთზე კოსტავას ზუსტი გადაცემა მიიღო სულაქველიძემ, დაასწრო ბუბნოვს და ახლოდან ძლიერად დაარტყა. ბურთი კარის ზედა ძელს მოხვდა. მოსკოველმა ფეხბურთელებმა უხეშობას მოუხშირეს, ერთ მომენტში ნიკულინმა საჯარიმოში წააქცია ჩელებაძე და… 11–მეტრიანი. ჩვენმა მარცხენა გარემარბმა ჩვეული ოსტატობით შეასრულა დარტყმა და ანგარიშიც გაიხსნა – 1:0. ეს ტაიმის დასასრულამდე ორი წუთით ადრე მოხდა.

საფიქრებელი იყო, რომ შესვენების შემდეგ სტუმრები ხელს აიღებდნენ უხეშობაზე. მაგრამ ამაოდ – პირველ ხუთ წუთში გუცაევზე “ნადირობისთვის” მეტოქეთა მცველები ოთხჯერ (!) დაჯარიმდნენ. ბოლოს გუცაევი იძულებული გახდა

დაეტოვებინა მოედანი. კვლავ აქცევენ ყიფიანს… დარასელიას – ყვითელ ბარათს ახლა ლატიში იმსახურებს.

…გონტარის კარს უტევენ თამაშში ახლად შემოსულნი შენგელია და კაკილაშვილი. დროს იწურება.

თბილისის “დინამომ” მიმდინარე გათმაშებაში მეორე გამარჯვება მოიპოვა.

გ. ბაქანიძე, საკავშირო კატეგორიის მსაჯი.

“ლელო”, 23 აპრილი, 1980 წ.